



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის
მერია
G E O R G I A
RUSTAVI CITY MUNICIPALITY CITY HALL



წერილის ნომერი: **38-3821315274**
თარიღი: **11/11/2021**
პინი: **2878**

ადრესატი: ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელს
ქალბატონ **ნინო ქავთარაძეს**

ქალბატონო ნინო,

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტების შესაბამისად წარმოგიდგენთ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტს თანდართული მასალებით.

პატივისცემით,

ირაკლი ტაბალუა

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია-ქალაქ
რუსთავის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიცირი
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



განმარტებითი ბარათი
დადგენილების პროექტზე
„ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის
ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“

ზოგადი მიმოხილვა

2020-2021 წლების პერიოდში მსოფლიოში ახალი კორონავირუსის (COVID 19) პანდემიამ შეცვალა გლობალური მასშტაბით ეკონომიკური განვითარების ტენდენციები. 2021 წლის მარტი-აპრილიდან უკვე მკაფიო გახდა ეკონომიკის აღდგენის გაცილებით სწრაფი ტრენდი, ვიდრე ეს მანამდე იყო ნავარაუდები. 2021 წლის მეორე კვარტლის დასაწყისიდან ეკონომიკამ სწრაფი აღდგენა დაიწყო, რამაც წინასწარი მონაცემებით ეკონომიკის 29.9 პროცენტით გაზრდა გამოიწვია. აღნიშნული ეკონომიკური ზრდის ტენდენცია დასტაბილურდა, მაგრამ მაინც მაღალი ნიშნული შეინარჩუნა, რის შემდგომაც საქართველოს მთავრობის მიერ მოხდა საპროგნოზო მაკროეკონომიკური და ფისკალური პარამეტრების გადახედვა/გადასინჯვა და სწორედ მასზე დაყრდნობით „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილების შესაბამისად გაიზარდა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტისათვის კანონმდებლობით დადგენილი მისაღები შემოსავლების პარამეტრები, როგორც 2021 წლის განმავლობაში, ასევე 2022-2025 წლების პროგნოზებში.

ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით და გაანალიზებით განხორციელდა საპროგნოზო პარამეტრების განსაზღვრა „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტში, რომლის თანახმად ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი წარმოადგენს წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დამტკიცებულ, აღმასრულებელი ხელისუფლების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობას.

2022 წლის რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის შემუშავებისას მხედველობაში იქნა მიღებული 2020-2021 წელს COVID-19 პანდემიის გავრცელებიდან გამომდინარე წარმოშობილი კრიზისის აღმოსაფხვრელად ქალაქის მუნიციპალიტეტის მხრიდან მომზადდა საინვესტიციო ეკონომიკური პაკეტი, რომელთა წარმატებულმა რეალიზაციამ განაპირობა მუნიციპალიტეტის საშემოსავლო ნაწილის ყოველწლიური სტაბილური ზრდა.

ძირითადი საპროგნოზო მაჩვენებლები

შემოსულობების პროგნოზი

საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები შეესაბამება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის 6-ე და 6¹-ე პუნქტების გათვალისწინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებულ საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს და 2022 წლის პროგნოზით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 49 481,7 ათას ლარს შეადგენს. 2021 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 2022 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი იზრდება 7 580,8 ათასი ლარით ($\approx 18,1\%$ -ით).

2022 წელს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

- **ქონების გადასახადის** საპროგნოზო მაჩვენებელი 2021 წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია $\approx 14,3\%$ -ით (1 500,0 ათ. ლარით) და განისაზღვრება 12 000,0 ათასი ლარით;
- 2021 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით **დამატებული ღირებულების გადასახადი** გაზრდილია $\approx 19,4\%$ -ით (6 080,8 ათასი ლარით) და განისაზღვრება 37 481,7 ათასი ლარის ოდენობით; აღნიშნული მოცულობით ზრდა გამოწვეულია მიმდინარე წელს, დაგეგმილზე მაღალი ეკონომიკური ზრდის შედეგად მოსალოდნელი გადაჭარბების და მომდევნო წელს ეკონომიკის ნომინალური ზრდის ფისკალური ეფექტებით.

გრანტების სახით დაგეგმილი მაჩვენებლების პროგნოზი 11,2%-ით იზრდება და 12 237,3 ათასი ლარის შეადგენს, მათ შორის:

- დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად მისაღები შემოსავლები შეადგენს 550,0 ათას ლარს.
- სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მისაღები ტრანსფერის შემოსავალი შეადგენს 1 820,0 ათას ლარს.
- რეგიონების ფონდიდან კაპიტალური ტრანსფერის სახით მისაღები გრანტები შეადგენს 9 867,3 ათას ლარს.

სხვა შემოსავლების დაგეგმილი პროგნოზი 7%-ით უსწრებს 2021 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს და განისაზღვრება 5 287,6 ათასი ლარით, მათ შორის:

- პროცენტები 500,0 ათასი ლარი, რაც 2021 წლის გეგმასთან შედარებით 25%-ით იზრდება;
- რენტა 200,0 ათასი ლარი;
- სანებართვო მოსაკრებლები 210,0 ათასი ლარი, 2021 წლის მაჩვენებელს $\approx 91\%$ -ით აღემატება;
- სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი 0,8 ათასი ლარი;
- სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი 600,0 ათასი ლარი;
- მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 1 080,0 ათასი ლარი, რაც 2021 წლის გეგმაზე 20%-ით მეტია;
- შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან 18,0 ათასი ლარი;

- შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან განსაზღვრულია 2 500,0 ათასი ლარის ოდენობით, რაც 2021 წელთან შედარებით 20%-ით არის გაზრდილი.
- შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები 178,8 ათასი ლარით, რაც 2021 წლის მაჩვენებელთან შედარებით ≈63%-ით არის შემცირებული.

არაფინანსური აქტივების კლების სახით მისაღები თანხების პროგნოზი განისაზღვრება 6 715,1 ათას ლარით, რაც სრულად მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული მიწის გაყიდვიდან შეივსება.

საპროგნოზო ნაშთის ოდენობა 7 478,3 ათასი ლარით განისაზღვრა.

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით 2022 წლის ბიუჯეტის შემოსულობები და სავარაუდო ნაშთი, სულ ჯამში შეადგენს 81 200,0 ათ. ლარს.

ბიუჯეტის გადასახდელები (ასიგნებები)

2022 წლის ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში ასახულია საბიუჯეტო ორგანიზაციების პროგრამების უმეტესობის დაფინანსება 2021 წელს ბიუჯეტის ზრდის შესაბამისად, ასევე დამატებითი ხარჯები ისეთი მნიშვნელოვანი მიმართულებებით, როგორცაა სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა, ლიფტების რეაბილიტაციისა და მოვლა-პატრონობის პროგრამა, დამატებითი სოციალური პროგრამების დაფინანსება და ზოგიერთი პროგრამის დაფინანსების ზრდა.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საერთო ასიგნება გადანაწილდა შემდეგნაირად:

- **ხარჯები** - 66 603,0 ათ. ლარი, მათ შორის:
 - **შრომის ანაზღაურება** - 22 212,6 ათ. ლარით განისაზღვრა მუნიციპალიტეტისა და მის მიერ დაფუძნებული იურიდიულ პირებში დასაქმებული თანამშრომლების ხელფასის ფონდი.
 - **საქონელი და მომსახურება** - 20 786,8 ათ ლარი. მათ შორის: ოფისის ხარჯებში გათვალისწინებულია თვითმმართველობაში შემავალი სტრუქტურული ერთეულების ნორმალური ფუნქციონირებისათვის სხვადასხვა სახის ხარჯი; ტრანსპორტის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები გათვლილია თვითმმართველობისა და მის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებში ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიმდინარე რემონტისა და სათადარიგო ნაწილებისთვის; ასევე საწვავ-საპოხი მასალების შექენა; დაგეგმილია სახელშეკრულებო წესით შესასრულებელი სხვადასხვა სახის სამუშაოებისა და მომსახურების შესყიდვა.
 - **პროცენტი** - 2 358,0 ათ. ლარი გათვალისწინებულია მუნიციპალური განვითარების ფონდიდან წინა წლებში აღებული სესხის პროცენტის დასაფარად.
 - **სუბსიდიები** - 6 635,0 ათ. ლარით თვითმმართველობა სუბსიდირებას უწევს ავტოსატრანსპორტის საწარმოსა და სპორტულ კლუბებს (რაგბი და კალათბურთი).
 - **გრანტები** - 6,0 ათ. ლარი გათვალისწინებულია ენერგო ქალაქების საწევროს დასაფინანსებლად.

- **სოციალური უზრუნველყოფა** - 4 230,3 ათ. ლარი განკუთვნილია ქალაქის სოციალურად დაუცველი ფენების მუნიციპალურ ავტოტრანსპორტის შეღავათებზე; წყლის გადასახადზე; იმუშავენ უფასო კვების პროგრამა; გათვალისწინებულია მოსახლეობის შეღავათები მედიკამენტებზე, საქართველოს ერთიანობისათვის დაღუპულ მეომართა ოჯახების მატერიალური დახმარება, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა ცენტრის ხელშეწყობა და სხვა.
- **სხვა ხარჯები** - 10 374,3 ათ. ლარი მოიცავს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების რეაბილიტაციას; ამასთანავე ფინანსდება ამხანაგობების ხელშეწყობის ფარგლებში საცხოვრებელი კორპუსებში კეთილმოწყობის სამუშაოები, ლიფტების რეაბილიტაციისა და მოვლა-პატრონობის პროგრამა და სხვა.
- **არაფინანსური აქტივები** - 14 477,0 ათ. ლარი გაგრძელდება ქალაქში ინფრასტრუქტურული პროექტები და შესყიდულ იქნება ა(ა)იპ-ების მიერ ინვენტარი/ტექნიკა, რაც მათი სამუშაო პროცესისათვის არის საჭირო.
- **ვალდებულებები** - 120,0 ათ. ლარი გათვალისწინებულია მუნიციპალური განვითარების ფონდიდან წინა წლებში აღებული სესხის ძირი თანხის დასაფარად.

შენიშვნა: მერის სარეზერვო ფონდი განისაზღვრა 940,0 ათ. ლარით.

ბიუჯეტის პროექტში გენდერული ასპექტების გათვალისწინების თაობაზე

საქართველოს ფინანსთა მინისტრის №385 ბრძანებით „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ განსაზღვრულია, რომ პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, ერთ-ერთი ინდიკატორი შეიძლება იყოს გენდერული, ასეთის არსებობის შემთხვევაში. მეთოდოლოგიის მიხედვით, გენდერული ინდიკატორები შემუშავებული უნდა იყოს პროგრამისა და ქვეპროგრამის საბოლოო და შუალედური შედეგებისთვის.

ამდენად, გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მიზნით, 2022 წელს მუნიციპალიტეტის ფინანსური დოკუმენტების შემუშავების დროს, 2022-2025 წლის პრიორიტეტების დოკუმენტსა და 2022 წლის პროგრამული ბიუჯეტის პროექტის დანართებში გათვალისწინებული იქნა გენდერული ასპექტები.

შეირჩა პროგრამები და ქვეპროგრამები, რომლის გენდერული ანალიზიც ჩატარდა მუნიციპალიტეტის მერიის დარგობრივი სამსახურებისა და პროგრამების განმახორციელებელი ა(ა)იპ-ების მიერ, GIZ ტექნიკური მხარდაჭერით. გენდერული ანალიზის შედეგების საფუძველზე 2022 წლის ბიუჯეტის პროექტში აღნიშნული პროგრამების/ქვეპროგრამების მოდიფიცირება მოხდა. კერძოდ, შესაბამისი გენდერული პოლიტიკა და მიდგომები ასახულია პროგრამის აღწერისა და შედეგების ნაწილში, ამასთან პროგრამებს/ქვეპროგრამებს აქვთ გენდერული ინდიკატორები.

პროგრამები და ქვეპროგრამები, რომლებშიც გათვალისწინებულია გენდერული ასპექტები:

- პროგრამა - საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება (02 01); ქვეპროგრამები: გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება (02 01 01); საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება (02 01 03);
- პროგრამა - სტუდენტთა სწავლის დაფინანსება (04 05)
- პროგრამა - სპორტის სფეროს განვითარება (05 01); ქვეპროგრამა - სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა (05 01 01);
- პროგრამა - კულტურის სფეროს განვითარება (05 02); ქვეპროგრამა - კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა (05 02 01).
- პროგრამა - სოციალური უზრუნველყოფა (06 02); ქვეპროგრამა - სტუდენტთა სოციალური დახმარება (06 02 11).

სამომავლოდ, გაგრძელდება მუშაობა გენდერულ ბიუჯეტზე, ჩატარდება გენდერული საჭიროებების კვლევები და პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფორმირების დროს გათვალისწინებული იქნება გენდერული საკითხები.

პროგრამების განმახორციელებლების მიხედვით გათვალისწინებულია:

ინფრასტრუქტურის განვითარების და ტრანსპორტის სამსახურის ასიგნებები განისაზღვრა 17 270,4 ათასი ლარით, ძირითადი პროგრამების მიხედვით ასიგნებები განისაზღვრა შემდეგი ოდენობით:

- **გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთების ღონისძიებები** - 3 090,1 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის თანხები ძირითადად მიიმართება შემდეგი ლოკაციებზე:
 - ქალაქ რუსთავში ფიროსმანის ქუჩის N31; N33; 35; 37; 37ა; შიდა ეზოების ტერიტორიის კეთილმოწყობა - 196,3 ათასი ლარი;
 - გაგარინის ქუჩაზე ტროტუარის მოწყობა (ფიროსმანის ქუჩიდან მშენებელთა ქუჩის კვეთამდე) - 85,1 ათასი ლარი;
 - ქალაქ რუსთავში, ოდიშარასა და 1 მაისის ქუჩებზე ტროტუარების მოწყობა - 283,2 ათასი ლარი;
 - ქ. რუსთავში 9 ძმა ხერხელიძის, გურამიშვილის, ლერმონტოვის და შევჩენკოს ქუჩების გზის, ტროტუარების და სანიაღვრე სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 2 383,8 ათასი ლარი, მათ შორის: ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება 119,2 ათ. ლარი, ხოლო რეგიონის ფონდიდან დაფინანსება 2 264,6 ათას ლარს შეადგენს.
 - ჰამლეტ გონაშვილის, გოგი დოლიძის და ჩოხელის ქუჩის მიმდებარედ გზის მოწყობა - 26,7 ათასი ლარი (გათვალისწინებულია რეგიონის ფონდის თანადაფინანსება 5%-ის ოდენობით, ხოლო სრული პროექტის ღირებულება 533,8 ათას ლარს შეადგენს).
 - ნეკრასოვისა და სამშვილდის ქ. ასფალტო-ბეტონის მოწყობა - 76,0 ათასი ლარი (გათვალისწინებულია რეგიონის ფონდის თანადაფინანსება 5%-ის ოდენობით, ხოლო სრული პროექტის ღირებულება 1 520,7 ათას ლარს შეადგენს).
 - სამგორის ქ. გზის საფარის მოწყობა - 39,0 ათასი ლარი (გათვალისწინებულია რეგიონის ფონდის თანადაფინანსება 5%-ის ოდენობით, ხოლო სრული პროექტის ღირებულება 797,4 ათას ლარს შეადგენს).
- **გზებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთების ღონისძიებები** - 520,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:
 - ქალაქში არსებული დაზიანებული ასფალტის საფარის ორმოული დამუშავების ფარგლებში დაიხარჯება - 500,0 ათასი ლარი.
 - არსებობის შემთხვევაში, სტიქიის შედეგების აღმოფხვრისათვის (ძირითადად გზის გაწმენდა ნიაღვრის შედეგად მოტანილი შლამისაგან) საჭირო ტექნიკით მომსახურების ღონისძიება - 20,0 ათასი ლარი.
- **საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება** - 150,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:
 - ქალაქში განსათავსებელი სიჩქარის მაკონტროლებელი კამერების შეძენა - 150,0 ათასი ლარი.
- **სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია** - 13,7 ათასი ლარის ოდენობით, რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებულია მცხეთის ქუჩაზე სანიაღვრე სანიაღვრე სისტემის მოწყობა - (რეგიონის

ფონდის თანადაფინანსება 5%-ის ოდენობით, ხოლო სრული პროექტის ღირებულება 287,5 ათას ლარს შეადგენს).

- **საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების რეაბილიტაციის ღონისძიებები** - 1 901,3 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის თანხები ძირითადად მიიმართება შემდეგი ლოკაციებზე:
 - თბილისის N26-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის გამაგრება/რეაბილიტაცია - 403,3 ათასი ლარი, მათ შორის: ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება 20,2 ათ. ლარი, ხოლო რეგიონის ფონდიდან დაფინანსება 383,1 ათას ლარს შეადგენს.
 - რჩეულიშვილის N2 ფასადის რეაბილიტაცია (გამაგრება-გადლიერება) - 374,3 ათასი ლარი, მათ შორის: ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება 18,7 ათ. ლარი, ხოლო რეგიონის ფონდიდან დაფინანსება 355,6 ათას ლარს შეადგენს.
 - ქალაქ რუსთავში ნესტორ გიორგაძის N2-ში საცხოვრებელი სახლის გამაგრება-გადლიერება - 323,3 ათასი ლარი, მათ შორის: ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება 16,2 ათ. ლარი, ხოლო რეგიონის ფონდიდან დაფინანსება 307,1 ათას ლარს შეადგენს.
 - ქალაქ რუსთავში ჯავახიშვილი ქუჩა N1-ში საცხოვრებელი სახლის გამაგრება-გადლიერება - 473,1 ათასი ლარი, მათ შორის: ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება 23,7 ათ. ლარი, ხოლო რეგიონის ფონდიდან დაფინანსება 449,4 ათას ლარს შეადგენს.
 - ჩაპაევის N5-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის გამაგრება-გადლიერება და ფასადის რეაბილიტაციის სამუშაოები - 295,7 ათასი ლარი, მათ შორის: ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება 14,8 ათ. ლარი, ხოლო რეგიონის ფონდიდან დაფინანსება 280,9 ათას ლარს შეადგენს.
 - ახალი ობიექტების ქსელთან მიერთების ხარჯები - 31,6 ათასი ლარი.
- **სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი შენობების სახურავების რეაბილიტაციის ღონისძიებები** - 100,0 ათასი ლარის ოდენობით.
- **მრავალსართულიან საცხოვრებელ შენობებში ლიფტების რეაბილიტაციის ღონისძიებები** - 1 820,0 ათასი ლარის ოდენობით.
- **საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებები** - 5 517,2 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის თანხები ძირითადად მიიმართება შემდეგი ლოკაციებზე:
 - ქალაქ რუსთავში, დ. კლდიაშვილის ქუჩაზე არსებული სკვერის რეაბილიტაცია და მედიათეკის მშენებლობა - 4 300,0 ათასი ლარი, მათ შორის: ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება 215,0 ათ. ლარი, ხოლო რეგიონის ფონდიდან დაფინანსება 4 085,0 ათას ლარს შეადგენს.
 - მრავალფუნქციური სათემო სკვერი - სკამები, განათება, გამწვანება, საბავშვო და სპორტული მოედნები, ფანჩატური მე-8 მკ N2-ის მიმდებარედ - 150,0 ათასი ლარი.
 - ქ. რუსთავში ლერმონტოვის N5-7-თან, მე-12 მკ/რ-ში N24-თან და თოდრიას N7-თან სკვერის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა - 620,0 ათასი ლარი.
 - მე-8 მკრ N12-ის მიმდებარედ სკვერი - 56,2 ათასი ლარი.

- ქ. რუსთავში, მე-19 მ/რ N12 მ/ტ, 21-ე მ/რ N11 მ/ტ და შარტავას N15-თან სკვერების მოწყობის სამუშაოების - 371,8 ათასი ლარი.
- ქ. რუსთავში, მე-20 მ/რ #15 კორპუსთან სკვერისა და შარტავას N7-ში შემეცნებითი ფანჩატურის მოწყობის სამუშაოები - 18,9 ათასი ლარი.
- **საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნისათვის** გათვალისწინებულია 500,0 ათასი ლარი.
- **საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და ექსპერტიზის მომსახურებისათვის** გათვალისწინებულია - 370,0 ათასი ლარი.
- **სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობის ღონისძიებები** - 737,9 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის თანხები ძირითადად მიიმართება შემდეგი ლოკაციებზე:
 - ქალაქ რუსთავის N34 საბავშვო ბაღის სარდაფში სადრენაჟო სისტემის მოწყობის სამუშაოები - 15,7 ათასი ლარი.
 - ქალაქ რუსთავში, სარაჯიშვილის ქუჩის #10-ის მისამართზე, ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობისთვის საჭირო სამუშაოები - 98,1 ათასი ლარი.
 - ქ. რუსთავის N1 საბავშვო ბაღის II ფლიგელის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა - 107,4 ათასი ლარი.
 - ბაგა-ბაღებში ელ. გაყვანილობების რეაბილიტაცია - 500,0 ათასი ლარი.
- **სპორტული და საბავშვო ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობის ღონისძიებები** - 717,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის თანხები ძირითადად მიიმართება შემდეგი ლოკაციებზე:
 - ქალაქ რუსთავში, მშენებელთა ქ. N42 ტრენაჟორისა და საბავშვო ატრაქციონის მოწყობა - 55,1 ათასი ლარი.
 - ქ. რუსთავში, მე-12 მ/რ N35, ახმეტელის N4 და თოდრიას N13 კორპუსებთან საბავშვო გასართობი კუთხეების მოწყობის სამუშაოების შესყიდვა - 11,9 ათასი ლარი.
 - სპორტული და საბავშვო მოედნების აღჭურვა - 200,0 ათასი ლარი.
 - სპორტულ გამაჯანსაღებელი სივრცე - გურამიშვილის ქუჩაზე N9, 5 და 11 ნომერებს შორის მდებარე ძველი სპორტული მოედნის განახლება-კეთილმოწყობა - 150,0 ათასი ლარი.
 - სტადიონი მე-14 მკ/ნ 39 კორპუსთან - 150,0 ათასი ლარი.
 - რუსთავში ფალიაშვილის N7ა-ს N7 და მელიქიშვილის ქუჩის მიმდებარედ სპორტული და საბავშვო მოედნის კომპლექსი - 150,0 ათასი ლარი.
- **კულტურული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობის ღონისძიებები** - 1 833,2 ათასი ლარის ოდენობით, რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებულია რუსთაველის N13-ში მდებარე მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის რეაბილიტაცია.

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახურის ასიგნებები განისაზღვრა 4 979,2 ათასი ლარით, ძირითადი პროგრამების მიხედვით ასიგნებები განისაზღვრა შემდეგი ოდენობით:

- **სტუდენტთა სწავლის დაფინანსების** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 500,0 ათასი ლარის ოდენობით.
- **ზოგასაგანმანათლებლო სკოლების ოქროს მედალზე კურსდამთავრებულთა წახალისების** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 75,0 ათასი ლარის ოდენობით.
- **მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 650,0 ათასი ლარის ოდენობით.
- **მოქალაქეთა მედიკამენტებითა და საანალიზო ტექნიკური საშუალებებით დახმარების** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 300,0 ათასი ლარის ოდენობით.
- **აუტიზმის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის დაფინანსების** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 400,0 ათასი ლარის ოდენობით.
- **გონებრივი განვითარების დაყოვნების, ცერებრული დამბლით დაავადებული და დაუნის სინდრომის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის დაფინანსების** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 90,0 ათასი ლარის ოდენობით.
- **მინიმალური სასურსათო კვების დაფინანსების** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 1 596,0 ათასი ლარის ოდენობით.
- **სარიტუალო მომსახურებების** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 26,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:
 - ვეტერანების სარიტუალო მომსახურება - 6,0 ათასი ლარი.
 - სოც. დაუცველთა სარიტუალო მომსახურება - 20,0 ათასი ლარი.
- **შელავათი სასმელი წყლის გადასახადზე** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 56,4 ათასი ლარის ოდენობით.
- **შელავათები მუნიციპალურ ტრანსპორტზე** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 487,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:
 - სოც. დაუცველ პირთა შელავათები მუნიციპალურ ტრანსპორტზე - 170,0 ათასი ლარი.
 - ვეტერანთა შელავათები მუნიციპალურ ტრანსპორტზე - 25,0 ათასი ლარი.
 - სსიპ-ებისა და ააიპ-ების თანამშრომელთა შელავათები მუნიციპალურ ტრანსპორტზე - 50,0 ათასი ლარი.
 - შშმ პირთა შელავათები მუნიციპალურ ტრანსპორტზე - 15,0 ათასი ლარი.

- სტუდენტთა შეღავათები მუნიციპალურ ტრანსპორტზე - 40,0 ათასი ლარი.
- სკოლების მოსწავლეების შეღავათები მუნიციპალურ ტრანსპორტზე - 122,0 ათასი ლარი.
- პენსიონრების შეღავათები მუნიციპალურ ტრანსპორტზე - 65,0 ათასი ლარი.
- **ინდივიდუალური დახმარებების** პროგრამების ასიგნება განისაზღვრა 39,5 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:
 - ომის ვეტერანთა კომუნალური მომსახურების დაფარვა - 32,5 ათასი ლარი.
 - რეინტეგრირებულ ბავშვთა ოჯახების კომუნალური გადასახადის დაფარვა - 7,0 ათასი ლარი.
- **უხუცეს მოქალაქეთა დახმარების** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 3,0 ათასი ლარის ოდენობით.
- **მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 400,0 ათასი ლარის ოდენობით.
- **საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეთა და მათთან გათანაბრებულ პირთა ოჯახების მატერიალური დახმარების** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 34,3 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:
 - დიდი სამამულო ომის მონაწილეთა და მათთან გათანაბრებულ პირთა ოჯახების მატერიალური დახმარება - 13,0 ათასი ლარი.
 - საბრძოლო ოპერაციებსა და საქართველოს ტერიტორიული მთიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების მატერიალური დახმარება - 21,3 ათასი ლარი.
- **შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარების** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 86,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:
 - შშმ პირთა ინდივიდუალური დახმარების პროგრამა (კომუნალურის დაფინანსება) - 78,6 ათასი ლარი.
 - მკვეთრად შშმ ტოტალურ უსინათლოთა გამცილებელი - 7,4 ათასი ლარი.
- **სტუდენტთა სოციალური დახმარების** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 50,0 ათასი ლარის ოდენობით.
- **სოციალური დახმარებების** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 85,0 ათასი ლარის ოდენობით.
- **სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების დამოუკიდებელი ცხოვრების მხარდაჭერის** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 6,0 ათასი ლარის ოდენობით.
- **დიალიზით დაავადებულთა დახმარების** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 65,0 ათასი ლარის ოდენობით.

- **ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 20,0 ათასი ლარის ოდენობით.
- **ძალადობის მსხვერპლი სტატუსის მქონე პირთა დახმარების** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 10,0 ათასი ლარის ოდენობით.

ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების“ ასიგნება განისაზღვრა 13 375,0 ათასი ლარით, სადაც გათვალისწიებულია სკოლამდელი აღზრდის ხელშესყობისათვის საჭირო ღონისძიებების (უფასო სკოლამდელი დაწესებულებების მომსახურებით უზრუნველყოფილი იქნება ქალაქ რუსთავში რეგისტრირებული სკოლამდელი ასაკის ყველა აღსაზრდელი) დაფინანსება.

ა(ა)იპ „რუსთავსერვის ცენტრის“ ასიგნება განისაზღვრა 11 172,2 ათასი ლარით, ძირითადი პროგრამების მიხედვით ასიგნებები განისაზღვრა შემდეგი ოდენობით:

- **საგზაო ნიშნები და უსაფრთხოების** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 414,4 ათასი ლარით.
- **სანიაღვრე სისტემების მოვლა-პატრონობა** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 284,0 ათასი ლარით.
- **გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 1 873,0 ათასი ლარით.
- **საზოგადოებრივი სივრცეების მოვლა-პატრონობა** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 989,0 ათასი ლარით.
- **სადღესასწაულო ღონისძიებების ტექნიკური უზრუნველყოფა** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 100,0 ათასი ლარით.
- **დასუფთავება და ნარჩენების გატანა** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 4 706,7 ათასი ლარით.
- **მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 2 096,7 ათასი ლარით.
- **რუსთავსერვის ცენტრის ადმინისტრირების პროგრამა** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 708,4 ათასი ლარით.

ა(ა)იპ „რუსთავის კორპუსის“ ასიგნება განისაზღვრა 6 540,1 ათასი ლარით, ძირითადი პროგრამების მიხედვით ასიგნებები განისაზღვრა შემდეგი ოდენობით:

- საცხოვრებელი შენობების სახურავების რეაბილიტაციის პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 600,0 ათასი ლარით.
- მრავალსართულიან საცხოვრებელ შენობებში ლიფტების რეაბილიტაციის პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 3 000,0 ათასი ლარით.
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 2 157,7 ათასი ლარით.
- რუსთავის კორპუსის ადმინისტრირების პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 782,4 ათასი ლარით.

შპს “მუნიციპალური ავტოტრანსპორტის საწარმოს“ ასიგნება განისაზღვრა 4 625,0 ათასი ლარით, სადაც გათვალისწიებულია ახალი 40 ერთეული ავტობუსის ექსპლუატაციისა და ქალაქის ტრანსპორტით უზრუნველყოფა.

ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავის სახელოვნებო სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრის“ ასიგნება განისაზღვრა 4 292,0 ათასი ლარით, ძირითადი პროგრამების მიხედვით ასიგნებები განისაზღვრა შემდეგი ოდენობით:

- სპორტული ღონისძიებების დაფინანსების პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 1 088,0 ათასი ლარით.
- სახელოვნებო განათლების დაფინანსების პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 1 417,0 ათასი ლარით.
- კულტურული ღონისძიებების განხორციელება პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 700,0 ათასი ლარით.
- ახალგაზრდობის მხარდამჭერი ღონისძიებები პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 267,0 ათასი ლარით.
- სპორტის, კულტურისა და ახალგაზრდობის ქვეპროგრამების ადმინისტრირების პროგრამა პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 820,0 ათასი ლარით.

ა(ა)იპ „ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტოს“ ასიგნება განისაზღვრა 80,0 ათასი ლარით.

ა(ა)იპ “რუსთავის მუნიციპალური არქივი” ასიგნება განისაზღვრა 115,0 ათასი ლარით.

ა(ა)იპ "რუსთავის წმინდა აკაკი მორჩილის სახელობის მოხუცებულთა სახლის" ასიგნება განისაზღვრა 531,8 ათასი ლარით, სადაც 35 ბენეფიციარი მიიღებს შესაბამის მომსახურებას.

ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრის“ ასიგნება განისაზღვრა 378,3 ათასი ლარით, რომელიც ჩართულია ახალი კორონავირუსის პანდემიის მართვაში და სხვა მიმდინარე ეპიდ საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებაში.

ა(ა)იპ "შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცენტრის" ასიგნება განისაზღვრა 720,0 ათასი ლარით.

ა(ა)იპ „რუსთავის ისტორიული მუზეუმის" ასიგნება განისაზღვრა 358,0 ათასი ლარით.

ა(ა)იპ „რუსთავის საბიბლიოთეკო გაერთიანება – ილია ჭავჭავაძის სახელობის მთავარი ბიბლიოთეკა“ ასიგნება განისაზღვრა 520,0 ათასი ლარით.

ა(ა)იპ „გიგა ლორთქიფანიძის სახელობის რუსთავის მუნიციპალური თეატრის“ ასიგნება განისაზღვრა 1 115,8 ათასი ლარით, სადაც დამატებით გათვალისწინებულია ხელფასების ნაწილში 100 ლარიანი მატება.

ა(ა)იპ რაგბის კლუბი „რუსთავის ხარების“ ასიგნება განისაზღვრა 510,0 ათასი ლარით.

შპს საკალათბურთო კლუბი - “რუსთავი 1991” ასიგნება განისაზღვრა 1 490,0 ათასი ლარით.

მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები შემდეგნაირად განისაზღვრება:

ათას ლარებში

პროგ. კოდი	დასახელება	2022 წლის პროექტი
სულ	ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ასიგნებები	81 200,0
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	12 712,2
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის უზრუნველყოფა	9 064,2
01 01 01	ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო	2 058,8
01 01 02	ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია	6 560,8
01 01 03	სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური	354,6
01 01 04	საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა	90,0
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	3 648,0

პროგ. კოდი	დასახელება	2022 წლის პროექტი
01 02 01	სარეზერვო ფონდი	940,0
01 02 02	წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი	5,0
01 02 03	ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ვალდებულებებისა და დავალიანებების მომსახურება/დაფარვა	2 478,0
01 02 04	მუნიციპალური არქივის ხელშეწყობა	115,0
01 02 05	ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტოს ხელშეწყობა	80,0
01 02 06	მონაწილეობითი ბიუჯეტირების ხელშეწყობა	30,0
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	28 807,8
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	4 174,5
02 01 01	გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება	3 090,1
02 01 02	გზებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთება	520,0
02 01 03	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	564,4
02 02	წყლის სისტემების განვითარება	297,7
02 02 01	სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა	297,7
02 03	გარე განათება	1 873,0
02 03 01	გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა	1 873,0
02 04	მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	7 421,3
02 04 01	საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების რეაბილიტაცია	1 901,3
02 04 02	საცხოვრებელი შენობების სახურავების რეაბილიტაცია	700,0
02 04 04	მრავალსართულიან საცხოვრებელ შენობებში ლიფტების რეაბილიტაცია	4 820,0
02 05	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება	2 157,7
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	6 606,2
02 06 01	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა	6 506,2
02 06 02	სადღესასწაულო ღონისძიებების ტექნიკური უზრუნველყოფა	100,0
02 07	მუნიციპალური ავტოტრანსპორტის განვითარება	4 625,0
02 08	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა	500,0
02 09	საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და ექსპერტიზა	370,0
02 10	რუსთავის კორპუსის ადმინისტრირების პროგრამა	782,4
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	8 111,8
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	4 706,7
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	2 096,7
03 03	ცხოველთა მონიტორინგი	600,0
03 04	რუსთავსერვის ცენტრის ადმინისტრირების პროგრამა	708,4
04 00	განათლება	15 407,9
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	13 375,0
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	737,9
04 03	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ხელშეწყობა	720,0
04 05	სტუდენტთა სწავლის დაფინანსება	500,0
04 06	ზოგასაგანმანათლებლო სკოლების ოქროს მედალზე კურსდამთავრებულთა წახალისების პროგრამა	75,0
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	10 846,0
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	3 805,0

პროგ. კოდი	დასახელება	2022 წლის პროექტი
05 01 01	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	2 000,0
05 01 02	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	1 088,0
05 01 03	სპორტული და საბავშვო ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	717,0
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	5 954,0
05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	3 410,8
05 02 01 01	სახელოვნებო განათლების დაფინანსება	1 417,0
05 02 01 02	თეატრის ხელშეწყობა	1 115,8
05 02 01 03	მუზეუმის ხელშეწყობა	358,0
05 02 01 04	ბიბლიოთეკების ხელშეწყობა	520,0
05 02 02	კულტურული ღონისძიებების განხორციელება	700,0
05 02 03	კულტურული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	1 833,2
05 02 04	რელიგიური კონფესიების ხელშეწყობა	10,0
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	267,0
05 03 01	ახალგაზრდობის მხარდაჭერი ღონისძიებები	267,0
05 04	სპორტის, კულტურისა და ახალგაზრდობის ქვეპროგრამების ადმინისტრირების პროგრამა	820,0
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	5 314,3
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	1 818,3
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	378,3
06 01 02	მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება	650,0
06 01 03	მოქალაქეთა მედიკამენტებითა და საანალიზო ტექნიკური საშუალებებით დახმარება	300,0
06 01 04	აუტიზმის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის დაფინანსება	400,0
06 01 05	გონებრივი განვითარების დაყოვნების, ცერებრული დამბლით დაავადებული და დაუნის სინდრომის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის დაფინანსება	90,0
06 02	სოციალური უზრუნველყოფა	3 496,0
06 02 01	მინიმალური სასურსათო კვების დაფინანსება	1 596,0
06 02 02	სარიტუალო მომსახურებები	26,0
06 02 03	შეღავათი სასმელი წყლის გადასახადზე	56,4
06 02 04	შეღავათები მუნიციპალურ ტრანსპორტზე	487,0
06 02 05	ინდივიდუალური დახმარებების პროგრამები	39,5
06 02 06	უხუცეს მოქალაქეთა დახმარება	3,0
06 02 07	რუსთავის მოხუცებულთა სახლის ხელშეწყობა	531,8
06 02 08	მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება	400,0
06 02 09	საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეთა და მათთან გათანაბრებულ პირთა ოჯახების მატერიალური დახმარება	34,3
06 02 10	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარება	86,0
06 02 11	სტუდენტთა სოციალური დახმარება	50,0
06 02 12	სოციალური დახმარებების პროგრამა	85,0
06 02 13	სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების დამოუკიდებელი ცხოვრების მხარდაჭერის პროგრამა	6,0
06 02 14	ღიალიზით დაავადებულთა დახმარების პროგრამა	65,0
06 02 15	ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა	20,0
06 02 16	ძალადობის მსხვერპლი სტატუსის მქონე პირთა დახმარების პროგრამა	10,0

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში:

- საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 12 237,6 ათასი ლარი, საიდანაც ვალების მომსახურება შეადგენს 2 358,0 ათას ლარს.
- თავდაცვა - 354,6 ათასი ლარი;
- ეკონომიკური საქმიანობა - 8 799,5 ათასი ლარი;
- გარემოს დაცვა - 8 409,5 ათასი ლარი;
- საბინაო-კომუნალური მეურნეობა - 19 610,6 ათასი ლარი;
- ჯანმრთელობის დაცვა - 1 818,3 ათასი ლარი;
- დასვენება, კულტურა და რელიგია - 10 946,0 ათასი ლარი;
- განათლება - 15 407,9 ათასი ლარი;
- სოციალური დაცვა - 3 496,0 ათასი ლარი.

ბიუჯეტის პროექტთან ერთად წარმოდგენილია:

- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი 2022-2025 წლებისათვის;
- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა 2022-2025 წლებისათვის;
- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროგრამული დანართი;
- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის კაპიტალური ბიუჯეტის დანართი;
- 2022 წლის ბიუჯეტის იურიდიულის პირების დანართი.
- ინფორმაცია 2022 წლის ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების და ღონისძიებების ფარგლებში ეკონომიკური კლასიფიკაციის „სხვა ხარჯების“ მუხლიდან განსახორციელებელი ღონისძიებები.